



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030114202597515

№ 01-14/ო

22 / იანვარი / 2015 წ.

„ანტირაბიული სამედიცინო დახმარება“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინი) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს „ანტირაბიული სამედიცინო დახმარება“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

დავით სერგეენკო



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030167711690215

№ 01-101/ო

06 / აპრილი / 2015 წ.

„ანტირაბიული სამედიცინო დახმარება“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინი) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 22 იანვრის №01-14/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „ანტირაბიული სამედიცინო დახმარება“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინი) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 22 იანვრის №01-14/ო ბრძანებით დამტკიცებული დანართის პირველი პუნქტის (გაიდლაინების შემუშავების მეთოდოლოგია) „გ“ ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ“ გაიდლაინი მომზადდა „ცოფის პრევენციის მიზნით 2014-2018 წლებში გასატარებელი ღონისძიებების“ ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №690 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და იმუნიზაციის ცენტრის ურთიერთთანამშრომლობით.

რეცენზენტები:

თეიმურაზ გოგიძე - მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, რაბიოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი; მეთოდური სახელმძღვანელოს - „ცოფით დაავადების პროფილაქტიკური მკურნალობა“ - ავტორი, „ცოფი, მისი პრევენცია და ნაკბენი ჭრილობების ქირურგიული მკურნალობა“ (მონოგრაფია) ავტორი;

ელზა ვაშაკიძე - მედიცინის დოქტორი, სრული პროფესორი, თსუ ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

დავით სერგუენკო